თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1371806

ნომერი: AR1234334

თარიღი : 03.07.2014

გაცემის თარიღი : 07.07.2014

გაცნობის თარიღი : 22.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ყაზბეგის , N 32/34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია პაპიძე პ/ნ 01008027136
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 42

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 07/03/2014წ. #AR1234334 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური ხარვეზის გასწორებას ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ხოლო წარმოდგენილ განცხადებაში აფიქსირებთ საპროექტო ობიექტთან არსებული მაღალი ძაბვის კაბელის უშიშარ ზონაში გადაადგილებისა და პროექტთან დაკავშირებული განმარტების გაცემის მოთხოვნას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ არასწორად იქნა დარეგისტრირებული განაცხადი ნომენკლატურაში „სამართლებრივი საკითხები – ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში“, ვინაიდან, აღნიშნული მოთხოვნები არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.
აქვე გაცნობებთ, რომ სამსახურის 13.12.2013წ. #1011254 გადაწყვეტილებით, 01.14.03.042.200 საკადასტრო ერთეულზე, დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დადგენილი იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ პროექტის შეთანხმების სტადიაზე სამსახურში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ტერიტორიის ტოპოგეგმა (მ1:500), სადაც ნაჩვენები იქნებოდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები და არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები (ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ). ასევე, განისაზღვრა, რომ საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული უნდა ყოფილიყო სამშენებლო ნორმები, გადატანის შემთხვევაში კი, პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილი ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან.
აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 12.02.2014წ. #1119401 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვ.42/200, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.03.042.200), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა. პროექტის შეთანხმების სტადიაზე, სამსახურში შესათანხმებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული რუკაზე, საკადასტრო გეგმაზე და საკადასტრო რუკაზე ხაზობრივი ნაგებობა დატანილი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ბრძანების მე–4 პუნქტით დამკვეთს განემარტა, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
მოგვიანებით, 19.06.2014წ. #1338664 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი გაიცამშენებლობის ნებართვა. ბრძანების მე–5 პუნქტით ასევე განისაზღვრა, რომ დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი, მათ შორის მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთი პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის, ამასთან, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს სანებართვო პირობების შესრულება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევით წარმოების თაობაზე, საჭიროა აცნობოთ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. თუ თვლით, რომ სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ზღუდავს თქვენს კანონიერ ინტერესებს შეგიძლიათ გაასაჩივროთ იგი ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ.#7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.